პროექტი

საქართველოს კანონი

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 09.06.2006, მუხ. 171) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მსხვერპლი – ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულებელყოფილია. ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების, 14^2 მუხლის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის მიზნებისთვის მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ პირთან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით, და რომელიც მოძალადისგან სოციალურმა მუშაკმა განაცალკევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა;“;

ბ) $ვ^1$ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ოჯახის წევრი – ამ კანონის მიზნებისთვის, დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, აგრეთვე ინტიმური პარტნიორები - პირები, რომლებიც არ იმყოფებიან/იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში, არ

ეწევიან/ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, თუმცა არიან ან იყვნენ ინტიმურ ურთიერთობაში, რაც მოიცავს რომანტიკულ ან/და სქესობრივ ურთიერთობას.";

დ) „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) თავშესაფარი – მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი (სადღეღამისო) განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას;";

ე) „ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კრიზისული ცენტრი - ამ კანონის მიზნებისათვის, მხარდაჭერის მომსახურებების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელიც, სულ მცირე, უზრუნველყოფს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას. კრიზისული ცენტრი შესაძლებელია ითვალისწინებდეს მხარდაჭერის სხვა მომსახურებების, მათ შორის, დროებითი (სადღეღამისო) საცხოვრისით მომსახურების მიწოდებასაც, თუ ეს გათვალისწინებულია კრიზისული ცენტრის წესდებით (შინაგანაწესით).";

ვ) „ლ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]" ქვეპუნქტი:
„ლ[1]) მხარდაჭერის მომსახურება/პროგრამა - ამ კანონის მიზნებისათვის, ისეთი მომსახურება/პროგრამა, რომელიც ეხმარება მსხვერპლს ძალების აღდგენასა და ძალადობის შედეგების დაძლევაში. ამ მიზნით ეს მომსახურება/პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მსხვერპლთა მხარდაჭერას რომელიმე ერთი ან რამდენიმე მიმართულებით, როგორიცაა: მსხვერპლთა დაცვა, სამართლებრივი დახმარება, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია და მათი ფიზიკური თუ ფსიქო-ემოციური გაჯანსაღებისთვის ზრუნვა, დროებითი საცხოვრისით (თავშესაფრით) უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიული მომზადების/გადამზადების ან/და დასაქმების ხელშეწყობა ან/და სხვა ისეთი დახმარება, რომელიც მსხვერპლის საჭიროებაზეა მორგებული.".

2. მე-7 მუხლის:

ა) პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურის ორგანოები და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში - მუნიციპალიტეტის ორგანოები.

2. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისას შესაბამისმა სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების ორგანოებმა შეიძლება ითანამშრომლონ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის/დახმარების და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე დაინტერესებულ ინსტიტუტებთან და უზრუნველყონ ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.";

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:
„3^1. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება უწყებათაშორისი კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.";

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:
„6. მუნიციპალიტეტების ორგანოები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებებს/პროგრამებს ახორციელებენ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად.".

3. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მუნიციპალიტეტების ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სოციალურ მომსახურებას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისათვის.";

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;
„ა) ოჯახური დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა კონსულტირებას და დახმარებას;";

ბ.ბ) "დ" და „ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) საჭიროების შემთხვევაში დამცავი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობას;
ე) არასრულწლოვნის დაცვის უზრუნველსაყოფად გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას;".

4. 9^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9^1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენა

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ორგანოები. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის

ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების, არასრულწლოვანთა შემთხვევაში – აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.“.

5. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) განცალკევებულად გამოკითხოს ძალადობის შემთხვევაში მონაწილე პირები, მოწმე(ები), მათ შორის, არასრულწლოვანი, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს;”.

6. 16[1] მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. VI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მსხვერპლის უფლებები, მისი სოციალური დაცვის და შრომითი გარანტიები, მხარდაჭერის მომსახურებები, მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები”.

8. მე-17 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. მსხვერპლის უფლებები და მისი დაცვის გარანტიები, მხარდაჭერის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მსხვერპლი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, ხოლო ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის სიმძიმის გათვალისწინებით ან გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების პირობების დარღვევის შემთხვევაში - სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების მოთხოვნით;

ბ) მოითხოვოს ამ კანონით დადგენილი წესით მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება;

გ) მიმართოს შესაბამის სასამართლო ორგანოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის მოძალადის მიერ ანაზღაურების მოთხოვნით;

დ) მიიღოს კომპენსაცია, თუ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ან/და მსხვერპლის მომსახურებისა და დაცვისათვის ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა წყაროებით;

ე) ისარგებლოს მხარდაჭერის მომსახურებებით/პროგრამებით, ისევე, როგორც თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით და იქ არსებული მომსახურებებით უფასოდ,

მიუხედავად იმისა, თანამშრომლობს თუ არა სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან;

ვ) თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში ყოფნისას ისარგებლოს შრომითი ურთიერთობის შეჩერების უფლებით. მისი შეჩერების ვადა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 30 კალენდარულ დღეს;

ზ) მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს საქართველოში ყოფნისათვის დროებითი ბინადრობის ნებართვის მისაღებად, თუ იგი უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირია;

თ) „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე;

ი) ისარგებლოს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი დაცვის სხვა მექანიზმებით.“.

9. 17^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამომცემი ორგანოები, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანო, მსხვერპლთა მხარდაჭერის მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, მათ შორის, მსხვერპლთა თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი, და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი ორგანო ვალდებული არიან, მსხვერპლს მისთვის გასაგებ ენაზე და გასაგები ფორმით გააცნონ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების მექანიზმებისა და შესაბამისი მომსახურებების/პროგრამების შესახებ.“.

10. 17^2 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თავშესაფრის საქმიანობა რეგულირდება მისი წესდებით (შინაგანაწესით), რომელიც შესაბამისობაშია ასეთი დაწესებულებისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებთან და განსაზღვრავს თავშესაფრის სტრუქტურას, უფლებამოსილებას და საქმიანობის წესს, მათ შორის, მომსახურებ(ებ)ის მიმღებ პირთა წრეს, მომსახურების სახეებს, მომსახურებ(ებ)ის მიწოდების პირობებსა და ვადებს.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. თავშესაფრის მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები ან/და შეიმუშოს სპეციალური ინსტრუმენტი (მაგალითად, რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი), რომლის საფუძველზეც მსხვერპლის მიერ თავშესაფრის მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, როცა იგი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან, იღებს გადაწყვეტილებას მისთვის თავშესაფრის მომსახურების მიწოდების ან მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ.“.

11. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 18. მსხვერპლის მოთავსება თავშესაფარში**

1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას მსხვერპლის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში გადაყვანას.

2. მსხვერპლის მიერ თავშესაფრის მოთხოვნისას, როცა მსხვერპლი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან (ანუ, მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად არ მიმდინარეობს შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემის პროცესი ან ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებები) თავშესაფრის მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება თავის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების/სპეციალური ინსტრუმენტის საშუალებით იღებს გადაწყვეტილებას მისთვის თავშესაფრის მომსახურების მიწოდების ან მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ.

3. თავშესაფარში მსხვერპლის (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) მოთავსება ხდება 4 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლს აღარ სურს ზემოაღნიშნულ პერიოდზე მეტი ხნით იქ დარჩენა. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობისას, თავშესაფრის ადმინისტრაცია, მსხვერპლის თანხმობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე აცნობებს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

4. მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების შემთხვევაში მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. თავშესაფრის მომსახურების მიწოდება არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ან პროკურატურის ორგანოებთან ძალადობის აქტების ჩამდენი პირების წინააღმდეგ.“.

12. 18[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კრიზისული ცენტრი არის მხარდაჭერის მომსახურებების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელიც ეხმარება მსხვერპლებს ძალადობრივი გარემოსგან თავის დაღწევასა და ძალების აღდგენაში. ამ მიზნით, კრიზისული ცენტრი, სულ მცირე, უზრუნველყოფს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას. გარდა აღნიშნულისა, კრიზისული ცენტრი, ასევე, შესაძლებელია ითვალისწინებდეს მხარდაჭერის სხვა მომსახურებების, მათ შორის, დროებითი (სადღეღამისი) საცხოვრისით მომსახურების მიწოდებასაც, თუ ეს გათვალისწინებულია კრიზისული ცენტრის წესდებით (შინაგანაწესით).

2. კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე. არასამეწარმეო იურიდიული პირის

მიერ შექმნილი კრიზისული ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

3. კრიზისული ცენტრის მომსახურებების მიღება არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ითანამშრომლოს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან ძალადობის აქტების ჩამდენი პირების წინააღმდეგ.

4. კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები ან/და შეიმუშოს სპეციალური ინსტრუმენტი (მაგალითად, რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი), რომლის საფუძველზეც მსხვერპლის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, როცა იგი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან, იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მომსახურების მიწოდების ან მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ.

5. მსხვერპლს კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. კრიზისული ცენტრის საქმიანობა რეგულირდება მისი წესდებით (შინაგანაწესით), რომელიც აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მათ შორის, განსაზღვრავს მომსახურებების მიმღებ პირთა წრეს, მომსახურების სახეებს და ამ მომსახურებების მიწოდების პირობებსა და ვადებს.“.

13. 19^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მსხვერპლთა დახმარების და შესაბამის საკითხებზე კონსულტაციის გაწევის უზრუნველსაყოფად იქმნება უფასო, 24-საათიანი საგანგებო მომსახურების სატელეფონო ნომერი, რომელიც ხელმისაწვდომია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“.

14. კანონს 19^1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 19^2 მუხლი:

„მუხლი 19^2. მხარდაჭერის მომსახურება/პროგრამა

1. მსხვერპლთა მხარდაჭერა გულისხმობს ნებისმიერ მომსახურებას/პროგრამას, რომელიც მიემართება მსხვერპლთა დაცვას, სამართლებრივ დახმარებას, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას და მათი ფიზიკური თუ ფსიქო-ემოციური გაჯანსაღებისთვის ზრუნვას, დროებითი საცხოვრისით (თავშესაფრით) უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის დაცვას, პროფესიული მომზადების/გადამზადების ან/და დასაქმების ხელშეწყობას და მიზნად ისახავს მსხვერპლთა (განსაკუთრებით მსხვერპლ ქალთა) შესაძლებლობების გაფართოებას და მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას.

2.მხარდაჭერის მომსახურებების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ მიღებული ზომები უნდა ეფუძნებოდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის გენდერულ გაგებას და ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მსხვერპლის ადამიანის

უფლებებსა და უსაფრთხოებაზე; უნდა ითვალისწინებდეს მოწყვლადი პირების, მათ შორის, მსხვერპლი ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვისაც.

3. მხარდაჭერის მომსახურებების მიწოდება არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ითანამშრომლოს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან ძალადობის აქტების ჩამდენი პირების წინააღმდეგ.

4.მხარდაჭერის მომსახურების/პროგრამის მიმწოდებელი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც, მსხვერპლის მიერ მომსახურების მოთხოვნის ან/და პროგრამაში ჩართვის სურვილის შემთხვევაში, როცა მსხვერპლი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან, იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მომსახურების მიწოდების/პროგრამაში ჩართვის ან მომსახურების მიწოდებაზე/პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ.“.

მუხლი 2.

1. საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №58 დადგენილების, „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებისა და „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. 2022 წლის 1 სექტემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №684 დადგენილება.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2022 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის №183/ნ ბრძანებისა და „კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 10 ნოემბრის №01-64/ნ ბრძანების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი-მე-7 პუნქტები, მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-17 მუხლი (გარდა პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა), მე-9-მე-14 პუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2023 წლის 2 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*